



მოხსენება

საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობის შესახებ
მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები.....	6
2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	7
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	10
3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	12
3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.....	14
4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი	16
4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები	18
4.2. საშინაო ვალი.....	19
4.3. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები	20
დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები.....	21
დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები.....	22
დანართი 3. კაპიტალური პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები	24

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს მთავრობის მოხსენება „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები; ე) სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია.
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები 19.4 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელები 19.2 მლრდ ლარით განისაზღვრა. ოქტომბერში, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 19.9 მლრდ ლარამდე (2.5%-ით), გადასახდელების კი 19.7 მლრდ ლარამდე (2.6%-ით) გაიზარდა.

8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსულობებმა 12.0 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 60.5%-ია. ამ პერიოდში მიღებული საგადასახადო შემოსავლების წილი წლიურ გეგმასთან მიმართებით, ყველა სახის გადასახადისთვის აღემატება გასული სამი წლის მაჩვენებლებს. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობა წლის ბოლოს გადააჭარბებს გეგმას.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 8 თვის მდგომარეობით ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის 60.1%-ს (11.8 მლრდ ლარს) შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში ათვისების ტენდენციები წინა წლების შესაბამისი პერიოდის მსგავსია, 2022 წლის ბოლოსაც მოსალოდნელია ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების ზრდა. გადასახდელების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში, საყურადღებოა, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობაში. კერძოდ:

- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში ადგილი აქვს თანხების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;
- ასევე, გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში ათვისებული საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე;
- გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისება აქვს 67 პროგრამას (პროგრამების 44.4%) და 145 ქვეპროგრამას (ქვეპროგრამების 39.0%).

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებისას არ განახლებულა კაპიტალური პროექტების დანართი, რაც მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ანალიზს გარკვეულწილად ართულებს. ამასთანავე, ბიუჯეტის კანონის საწყის ვერსიაზე თანდართულ დანართში წარმოდგენილი პროექტების განხორციელების პროცესის ანალიზისას იკვეთება გარკვეული შეფერხებები.

2022 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობა 28.8 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2021 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელზე 2.4 მლრდ ლარით (7.6%-ით) ნაკლებია. სახელმწიფო ვალის მოცულობა ბიუჯეტის კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (29.8 მლრდ ლარი) 96.9%-ია.

მთავრობის ვალი 31 აგვისტოს მდგომარეობით 27.6 მლრდ ლარია და 2021 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 2.2 მლრდ ლარით (7.3%-ით). ვალის შემცირებაში ლარის გამყარების ეფექტი 3.3 მლრდ ლარია, ხოლო წლის განმავლობაში საგარეო წყაროებიდან აღებული ახალი სესხების აღების ეფექტი - 462 მლნ ლარი.

8 თვის მდგომარეობით, საგარეო წყაროებიდან მოზიდული რესურსით დაფინანსებული ზოგიერთი საინვესტიციო პროექტი ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში განხორციელდა ჯამურად 744.7 მლნ ლარის ათვისება, რაც წლიური გეგმის 48.3% შეადგენს. ათვისების აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით 10.1 პპ-ით ნაკლებია.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები


2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსულობების გეგმა 19.4 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელების - 19.2 მლრდ ლარით განისაზღვრა. წლის განმავლობაში, მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც შემოსულობები 19.9 მლრდ ლარამდე (2.5%-ით), ხოლო გადასახდელები 19.7 მლრდ ლარამდე (2.6%-ით) გაიზარდა. 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა 12.0 მლრდ ლარი, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 11.8 მლრდ ლარი შეადგინა.

ცხრილი 1. 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები - 2020-2022 წწ. (მლნ ლარი)

	2020 წლის 8 თვის ფაქტი	2021 წლის 8 თვის ფაქტი	2022 წლის წლიური გეგმა (საწყისი)	2022 წლის წლიური გეგმა (ცვლილება)	2022 წლის 8 თვის ფაქტი	2022 წლის 8 თვის შესრულება (%)
შემოსულობები	11,420	11,530	19,363	19,852	12,020	60.5%
გადასახდელები	9,570	12,862	19,171	19,679	11,826	60.1%
ნაშთის ცვლილება	1,850	-1,333	192	174	194	111.7%

2022 წლის 8 თვის მდგომარეობით, როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით გასული სამი წლის ანალოგიურია. კერძოდ, 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა წლიური გეგმით განსაზღვრული შემოსულობების 60.5% და გადასახდელების 60.1%.¹

დიაგრამა 1. წლიურ გეგმასთან მიმართებით რვა თვის და წლიური შესრულების მაჩვენებლები - 2019-2022 წწ. (%)




¹ 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, გეგმურ მაჩვენებელთან მიმართებით გადასახდელების შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია 2021 წლის აპრილში 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ევროობლიგაციის ძირი თანხის დაფარვისა და პანდემიის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე მიმართული 1.1 მლრდ ლარის ეფექტით. ამ ტიპის გადასახდელებს ერთჯერადი ხასიათი გააჩნია. აღნიშნული ეფექტის გამორიცხვით, გადასახდელების წლიურ გეგმასთან შესრულების მაჩვენებელი 60.3%-ია.


შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების შედეგად, რვა თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 194 მლნ ლარით გაიზარდა და აგვისტოს ბოლოს 1.1 მლრდ ლარი შეადგინა.

ბიუჯეტის ნაშთის ზრდის პარალელურად ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ნაშთის დინამიკა 2022 წლის რვა თვეში ძირითადად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და ამ პერიოდში 1.05 მლრდ ლარიდან 1.65 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ყოველთვიური დინამიკა - 2022 წ. (მლნ ლარი)



დიაგრამა 3. აუქციონის გზით კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთის მოცულობა ყოველი თვის ბოლოს - 2022 წ. (მლნ ლარი)



გარდა მოკლევადიანი დეპოზიტებისა, მთავრობის განკარგულების საფუძველზე² ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება. შესაბამისად, 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ჯამური მოცულობა 2.2 მლრდ ლარს შეადგენს.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 14.6 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 1.8 მლრდ ლარით (14.2%-ით) აღემატება 2021 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს. 2022 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, შემოსავლების წლიური გეგმა 1.2 მლრდ ლარით (8.2%-ით)

² მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულება.

გაიზარდა, რაც ძირითადად საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის 1 მლრდ ლარით (7.8%-ით) ზრდით არის გამოწვეული.

ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 8 თვის შესრულების მაჩვენებლები ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებით - 2021-2022 წწ. (მლნ ლარი)

	2021 წელი			2022 წელი		
	8 თვის ფაქტი (1)	წლიური გეგმა (ცვლილება) (2)	(1) / (2) %	8 თვის ფაქტი (3)	წლიური გეგმა (ცვლილება) (4)	(3) / (4) %
საგადასახადო შემოსავლები	7,032	11,363	61.9%	8,951	14,473	61.8%
გრანტები	283	386	73.2%	246	343	71.8%
სხვა შემოსავლები	560	800	70.0%	846	945	89.5%
შემოსავლები	7,874	12,549	62.7%	10,043	15,761	63.7%


რვა თვის მდგომარეობით მიღებულმა შემოსავლებმა 10 მლრდ ლარი და წლიური გეგმის 63.7% შეადგინა (2020-2021 წლების ანალოგიური მაჩვენებლებია 66.4% და 62.7%). მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებულ იქნა 9 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 61.8%-ია.

ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 8 თვის ფაქტობრივი მონაცემები - 2021-2022 წწ. (მლნ ლარი)

	2021 წელი			2022 წელი		
	8 თვის ფაქტი (1)	წლიური გეგმა (ცვლილება) (2)	(1) / (2) %	8 თვის ფაქტი (3)	წლიური გეგმა (ცვლილება) (4)	(3) / (4) %
საშემოსავლო გადასახადი	2,205	3,500	63.0%	3,053	4,591	66.5%
მოგების გადასახადი	718	1,001	71.7%	1,393	1,829	76.1%
დღგ	3,085	4,807	64.2%	3,826	5,826	65.7%
აქციზი	1,111	1,825	60.9%	1,203	1,985	60.6%
იმპორტის გადასახადი	54	81	66.6%	76	112	67.8%
სხვა გადასახადები	-141	148	-95.3%	-599	130	-460.8%
საგადასახადო შემოსავლები	7,032	11,363	61.9%	8,951	14,473	61.8%


2022 წლის რვა თვეში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების წილი წლიურ გეგმასთან მიმართებით, ყველა სახის გადასახადისთვის აღემატება გასული სამი წლის მაჩვენებლებს. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობა წლის ბოლოს გადააჭარბებს გეგმას.

დიაგრამა 4. რვა თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების წილი წლის განმავლობაში ფაქტობრივად მობილიზებულ საგადასახადო შემოსავლებთან (2019-2021 წლებისთვის) და წლიურ გეგმასთან (2022 წლისთვის) მიმართებით.



2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით „ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების“ დაბრუნების ქვეანგარიშზე დაგროვებულმა ნაშთმა 1.1 მლრდ ლარი შეადგინა და 413 მლნ ლარით გაიზარდა წლის დასაწყისში არსებულ მოცულობასთან შედარებით. რვა თვის განმავლობაში, ქვეანგარიშზე ჯამურად მიიმართა 1.8 მლრდ ლარი, ხოლო გადასახადის გადამხდელებს დაუბრუნდათ 1.4 მლრდ ლარი.

დიაგრამა 5. დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი, ქვეანგარიშიდან გასული თანხებისა და ყოველი თვის ბოლოს არსებული ნაშთის დინამიკა - 2019-2022 წწ. (მლნ ლარი)



რაც შეეხება სხვა შემოსავლების შესრულებას, რვა თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა 356 მლნ ლარის მოცულობის დივიდენდი, რაც ბიუჯეტის საწყისი კანონით განსაზღვრული წლიური

გეგმის 172%-ს და საბოლოო კანონის გეგმის - 100%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებულ დივიდენდს.

პროცენტის სახით რვა თვეში მობილიზებული იქნა 171 მლნ ლარის შემოსავალი, რაც წლიური გეგმის 85.6%-ია. აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, მოსალოდნელია საპროცენტო შემოსავლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბება.

აღსანიშნავია, რომ 8 თვის მდგომარეობით გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდება **არაფინანსური აქტივების კლებიდან** მისაღები შემოსულობების მაჩვენებელი. კერძოდ, ამ კომპონენტში მობილიზებულია 132 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის (300 მლნ ლარი) 44%-ს შეადგენს. ამ მუხლის დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე აღინიშნა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2022 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ფაქტობრივმა გადასახდელებმა 11.8 მლრდ ლარი და საბოლოო წლიური გეგმის 60.1% შეადგინა. 2020 და 2021 წლებში ანალოგიური მაჩვენებელი, შესაბამისად, 60.1%-სა და 65.0%-ს უტოლდებოდა.³

ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მაჩვენებლები (მლნ ლარი)

	2020 წლის 8 თვის ფაქტი	2021 წლის 8 თვის ფაქტი	2022 წლის წლიური გეგმა (საწყისი)	2022 წლის წლიური გეგმა (ცვლილება)	2022 წლის 8 თვის ფაქტი	2022 წლის 8 თვის შესრულება (%)
ხარჯები	7,584	8,841	14,415	15,123	9,421	62.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,193	1,415	3,060	3,212	1,639	51.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	183	222	459	257	116	45.1%
ვალდებულებების კლება	610	2,384	1,237	1,087	651	59.9%
გადასახდელები	9,570	12,862	19,171	19,679	11,826	60.1%


³ 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, გეგმურ მაჩვენებელთან მიმართებით გადასახდელების შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია 2021 წლის აპრილში 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ევროობლიგაციის ძირი თანხის დაფარვისა და პანდემიის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე მიმართული 1.1 მლრდ ლარის ეფექტით. ამ ტიპის გადასახდელებს ერთჯერადი ხასიათი გააჩნია. აღნიშნული ეფექტის გამორიცხვით, გადასახდელების წლიურ გეგმასთან შესრულების მაჩვენებელი 60.3%-ია.

დიაგრამა 6. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ცალკეული კომპონენტების 8 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით - 2019-2022 წწ. (%)⁴



თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გასულ წლებში გადასახდელების ათვისება წლის განმავლობაში თანაბარზომიერად არ მიმდინარეობდა და ძირითადად კონცენტრირებული იყო წლის ბოლო 4 თვეში, ასევე იმ ფაქტს, რომ მიმდინარე წლის 8 თვეში ათვისების ტენდენციები წინა წლების შესაბამისი პერიოდის მსგავსია, 2022 წლის ბოლოსაც მოსალოდნელია ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების ზრდა. 2022 წლის 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივი გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 1.5 მლრდ ლარს შეადგენს. იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა (19.7 მლრდ ლარი) შესრულდება, წლის ბოლო ოთხი თვის გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 2.0 მლრდ ლარს გაუტოლდება, რაც ფისკალური წლის პირველი რვა თვის ფაქტობრივი გადასახდელების საშუალო მაჩვენებელს 32.8%-ით აღემატება.⁵


დიაგრამა 7. გადასახდელებისა და მისი კომპონენტების ყოველთვიური დინამიკა - 2020-2022 წწ. (მლნ ლარი)⁶



⁴ 2021 წელს „ვალდებულებების კლების“ მუხლის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია 2021 წლის აპრილში 500 მლნ აშშ დოლარის (1.7 მლრდ ლარი) ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვის ეფექტით.

⁵ 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 24.2%-ს, 2020 წელს - 32.8%-ს, ხოლო 2021 წელს 19.0%-ს შეადგენდა.

⁶ 2021 წლის აპრილში გადასახდელების მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია აღნიშნულ თვეში 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ევროობლიგაციების დაფარვით.



საბიუჯეტო სახსრების არათანაბარზომიერი ათვისების ტენდენციები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება გადასახდელების ცალკეული კომპონენტების დონეზე. კერძოდ „ხარჯების“ მუხლში წლიური გეგმის შესრულების შემთხვევაში, წლის ბოლო ოთხ თვეში ასათვისებელი რესურსის საშუალოთვიური მაჩვენებელი, პირველ რვა თვეში დახარჯული რესურსის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 21.1%-ით გადააჭარბებს. „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებელი 92.0%-ს, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შემთხვევაში კი 143.5%-ს შეადგენს.

გადასახდელების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებისა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამებისა და ქვეპროგრამების არსებობაში.

□ ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ხორციელდება ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილება, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. აღნიშნული ქმნის ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების


დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დეფიციტისა და დასახული მიზნების მიღწევის რისკს (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში). კერძოდ:

- რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში ადგილი აქვს რესურსების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება;
- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

□ ბიუჯეტის შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით (საბოლოო) განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 8 თვის მდგომარეობით წლიური გეგმის 60.5%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 77.1% შეადგინა.⁷ 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისებით ხასიათდება 67 პროგრამა (პროგრამების 44.4%) და 145 ქვეპროგრამა (ქვეპროგრამების 39.0%) (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

დიაგრამა 8. პროგრამების/ქვეპროგრამების განაწილება 8 თვის ათვისების მაჩვენებლის მიხედვით 9 თვის დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით - 2022 წ.



საყურადღებოა, რომ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებისას არ განახლებულა კაპიტალური პროექტების დანართი, რაც მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ანალიზს ართულებს. ამასთანავე, ბიუჯეტის კანონის საწყისი ვერსიის დანართში წარმოდგენილი პროექტების განხორციელების ანალიზისას იკვეთება გარკვეული შეფერხებები.

⁷ მაჩვენებელი არ მოიცავს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს. გარდა ამისა გადასახდელები არ მოიცავს მიზნობრივ გრანტებს, რადგან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახებიან მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

შესაბამისი განმახორციელებელი უწყებების განმარტებით, აღნიშნული შეფერხებები ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით (*დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ 3-ში*):

- კონტრაქტორი ორგანიზაციის მხრიდან პროექტების შესრულების პროცესის შეფერხება;⁸
- კლიმატური და გეოლოგიური სირთულეები;⁹
- პროექტში განხორციელებული ცვლილებები;¹⁰
- ტენდერების ჩაშლა;¹¹
- დონორთან მოლაპარაკების გაჭიანურება.¹²

აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, საყურადღებოა, რომ ამ პროექტების ნაწილი გასულ წელსაც დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/პროექტების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია განმახორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას.

3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ოქტომბერში განხორციელებული ცვლილებით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი 167 მლნ ლარით შემცირდა და 3.3 მლრდ ლარს გაუტოლდა. ცვლილება ძირითადად შეეხო დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, რომლის გეგმაც, თბილისის სატრანსპორტო სისტემის განვითარებისთვის დაგეგმილი შესყიდვების გადავადებიდან გამომდინარე 218 მლნ ლარით შემცირდა. ასევე, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვისთვის გათვალისწინებული თანხის მოცულობა 160 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსება 130 მლნ ლარით გაიზარდა.

⁸ პროგრამული კოდები: 25 02 02 09; 25 02 02 11; 25 02 02 13; 25 02 03 01; 25 02 03 10; 25 02 03 11; 25 02 03 14; 25 03 03; 24 14 02 01; 32 07


⁹ პროგრამული კოდები: 25 02 02 08; 25 02 02 12; 24 14 01 01;

¹⁰ პროგრამული კოდები: 25 02 03 12; 25 02 03 13; 25 02 03 16; 26 02 03; 27 04 01

¹¹ პროგრამული კოდები: 25 03 01; 25 03 07 01; 25 04 03; 25 04 04; 25 05 04

¹² პროგრამული კოდები: 25 03 04; 25 07 03

დიაგრამა 9. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ზოგიერთი კომპონენტის შესრულება 8 თვის მდგომარეობით - 2022 წ.



2022 წლის რვა თვის მდგომარეობით, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ათვისების მაჩვენებელი 1.8 მლრდ ლარს და წლიური გეგმის 54%-ს შეადგენს.

- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის** ათვისების პროცენტული მაჩვენებელი, 8 თვის მდგომარეობით, შემცირებულია 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. კერძოდ, ფონდიდან გადარიცხულია 162 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 60%-ს (2021 წელს 109%), ხოლო წლიური გეგმის 38%-ს შეადგენს (2021 წელს 47%). აქვე, აღსანიშნავია, რომ კანონის ცვლილებიდან გამომდინარე, 268 მლნ ლარის ათვისება დაგეგმილია წლის ბოლო 4 თვეში;
- **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის** ათვისების პროცენტული მაჩვენებელიც შემცირებულია გასულ წელთან შედარებით. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით გადარიცხული თანხა 5 მლნ ლარია, რაც 9 თვის გეგმის 50% (2021 წელს 74%), ხოლო წლიური გეგმის 25%-ია (2021 წელს 35%);
- 2021 წელთან შედარებით დადებითი ტენდენცია დაფიქსირდა პროგრამების „საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა“ (55 12) და „2020–2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში“ (55 14) მიმდინარეობის კუთხით. გასათვალისწინებელია, რომ 8 თვის მდგომარეობით, „2020–2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში“ გეგმიური 170 მლნ ლარიდან შერჩეულია 125 მლნ ლარის პროექტები, საიდანაც ფაქტობრივად განხორციელებული სამუშაოების

ღირებულება მხოლოდ 34 მლნ ლარია (წლიური გეგმის 20%). შესაბამისად, დარჩენილი თანხის (136 მლნ ლარის) კონცენტრირებულად ათვისება მოსალოდნელია მეოთხე კვარტალში.

4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მოცულობა 28.8 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2021 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელზე 2.4 მლრდ ლარით (7.6%-ით) ნაკლებია. სახელმწიფო ვალის შემცირება გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გამყარებით, რის შედეგადაც ვალი 3.5 მლრდ ლარით შემცირდა. ამასთანავე, აღნიშნული ეფექტი ნაწილობრივ დაბალანსდა წლის განმავლობაში ვალის წმინდა ზრდით 1.1 მლრდ ლარის ოდენობით. სახელმწიფო ვალის არსებული მოცულობა ბიუჯეტის კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (29.8 მლრდ ლარი) 96.9%-ია.

რაც შეეხება მთავრობის ვალს,¹³ 31 აგვისტოს მდგომარეობით მისი მოცულობა 27.6 მლრდ ლარს შეადგენს და 2021 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 2.2 მლრდ ლარითაა (7.3%-ით) შემცირებული.

ცხრილი 5. მთავრობის ვალის სტრუქტურა 2022 წლის 8 თვის მდგომარეობით (მლნ ლარი).


	2021 წლის ნაშთი	2022 წლის ბიუჯეტის კანონი (საწყისი)	2022 წლის ბიუჯეტის კანონი (ცვლილება)	2022 წლის 8 თვის ნაშთი	8 თვის ნაშთის წილი მშპ- ში ¹⁴
მთავრობის საგარეო ვალი	23,967	26,023	21,508	21,095	29.2%
მრავალმხრივი კრედიტორები	17,278	18,967	15,729	15,398	
ორმხრივი კრედიტორები	5,136	5,496	4,349	4,242	
ევრო-ობლიგაციები	1,549	1,556	1,427	1,452	
გარანტირებული კრედიტები	4	4	3	4	
მთავრობის საშინაო ვალი	5,845	7,100	7,100	6,538	9.1%
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	5,486	6,792	6,786	6,204	
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	313	273	273	291	
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალი	46	35	41	44	
მთავრობის ვალი	29,672	33,123	28,609	27,634	38.8%

¹³ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალს, IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და სსიპ-ების სესხების სახით არსებულ ვალდებულებებს.


¹⁴ მშპ-ს შემთხვევაში აღებულია 2022 წლის ბიუჯეტის კანონზე თანდართულ BDD დოკუმენტში წარმოდგენილი 2022 წლის ნომინალური მშპ-ს პროგნოზი.

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, 2021 წელთან შედარებით მთავრობის საშინაო ვალი 693 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო საგარეო ვალი 2.9 მლრდ ლარით შემცირდა. მთავრობის ვალის შემცირებაში ლარის გამყარების ეფექტი 3.3 მლრდ ლარია, ხოლო წლის განმავლობაში საგარეო წყაროებიდან აღებული ახალი სესხების აღების ეფექტი - 462 მლნ ლარი.


დიაგრამა 10. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი ვალუტების მიხედვით - 2021-2022 (8 თვე) წწ. (მლნ ლარი)




დიაგრამა 11. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი წლების მიხედვით - 2018-2022 (8 თვე) წწ. (მლნ ლარი)



დიაგრამა 12. მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა ვალუტების მიხედვით - 2018-2022 (8 თვე) წწ.



დიაგრამა 13. წლის ბოლოს დაფიქსირებული ლარის გაცვლითი კურსის %-ული ცვლილება - 2018-2022 წწ.



2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი 5 სხვადასხვა ვალუტაში¹⁵ აღებული სესხისგან შედგება. აქედან ძირითად ნაწილს ევროში (52.0%), დოლარსა (25.9) და SDR-ში¹⁶ (19.9%) დენომინირებული სესხები შეადგენს.

4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები

2022 წლის 8 თვის მდგომარეობით, კრედიტების სახით საგარეო წყაროებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 1.0 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 43.7%-ს შეადგენს. მიღებული კრედიტების 74.5% (763 მლნ ლარი) საინვესტიციო კრედიტებია, ხოლო 25.5% (261 მლრდ ლარი) - ბიუჯეტის მხარდამჭერი. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს, საინვესტიციო კრედიტებისგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული მიზნობრიობა ძირითად შემთხვევაში არ გააჩნია და ბიუჯეტის მიმდინარე საჭიროებების დაფინანსებას ემსახურება.

ცხრილი 6. 2022 წლის რვა თვის მდგომარეობით საგარეო კრედიტების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ ლარი)

	2022 წლის ბიუჯეტის კანონი	2022 წლის 8 თვის ფაქტი	შესრულება (%)
საგარეო კრედიტები	2,342	1,024	43.7%
საინვესტიციო	1,542	763	49.5%
ბიუჯეტის მხარდამჭერი	800	261	32.6%


ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, 1.9 მლრდ ლარის მოცულობის შეღავათიანი საინვესტიციო კრედიტით დაიგეგმა 54 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება. კანონში განხორციელებული ცვლილებით, დაფინანსების გეგმური მაჩვენებელი 1.5 მლრდ ლარამდე შემცირდა, დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა კი 47-მდე. გარდა გეგმით გათვალისწინებული პროექტებისა, 8 თვის მდგომარეობით, ნულოვანი გეგმის მქონე 4 საინვესტიციო პროექტის ფარგლებში¹⁷ დაიხარჯა ჯამურად 25.4 მლნ ლარი.

¹⁵ 2021 წლის ბოლოს არსებული ვალის პორტფელისგან განსხვავებით, ვალის ნაშთის მოცულობა განულდა ჩინურ იუანში და ამჟამად არსებული ვალუტებია: აშშ დოლარი, ევრო, ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR), იაპონური იენი, ქუვეითური დინარი.

¹⁶ SDR - წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომლის ღირებულებაც ემყარება 5 ვალუტას: აშშ დოლარს, ევროს, ჩინურ იუანს, იაპონურ იენს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს.

¹⁷ ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (24 19); თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB) (25 02 03 15); შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (WB) (25 02 02 18); COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის დამატებითი დაფინანსება (AIIB, KfW, WB) (27 03 03 10 04).

დიაგრამა 14. საინვესტიციო პროექტებზე გამოყოფილი დაფინანსების ათვისების ტენდენცია - 2018-2022 წწ. (მლნ ლარი)



2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში განხორციელდა ჯამურად 744.7 მლნ ლარის ათვისება, რაც წლიური გეგმის 48.3% შეადგენს. ათვისების აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10.1 პპ-ით ნაკლებია.

4.2. საშინაო ვალი

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონის მეშვეობით განხორციელდა 1.7 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების ემისია, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში მოხილიზდა 1.68 მლნ ლარი, მათ შორის 14.9 მლნ ლარი პრემიუმის სახით.

ცხრილი 7. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია - 2022 წლის 8 თვე (მლნ ლარი)¹⁸

	ნომინალური ღირებულება (ემისიის მოცულობა)	დისკონტი	პრემიუმი	ფაქტობრივი შემოსულობა სახელმწიფო ბიუჯეტში (ძირი თანხა)
6-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	160	8.0	-	152
12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	175	16.2	-	159
2-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	580	0.3	7.1	587
5-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	696	1.0	4.7	699
10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	75	-	3.1	78
სულ ემისია	1,686	25.4	14.9	1,675

¹⁸ სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

4.3. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები

2022 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე (გარდა IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის მომსახურებისა და დაფარვისა) მიიმაართა 2.1 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 64.2%-ს შეადგენს.

ცხრილი 8. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები - 2022 წლის 8 თვე (მლნ ლარი)¹⁹

	2022 წლის ბიუჯეტის კანონის (ცვლილება)	8 თვის ფაქტი	8 თვის ათვისება წლიურ გეგმასთან
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1,270	768	60.5%
ძირი	1,040	622	59.8%
პროცენტი	230	146	63.6%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	2,065	1,372	66.4%
ძირი	1,540	979	63.6%
პროცენტი	525	393	74.8%
სულ სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	3,335	2,140	64.2%

2022 წელს სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი (63.4%) საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებზე მოდის. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, საშინაო ვალის ძირი თანხის დაფარვის მაჩვენებელმა 979 მლნ, ხოლო საპროცენტო ხარჯმა 393 მლნ ლარი შეადგინა.

¹⁹ არ მოიცავს IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის მაჩვენებლებს.

დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები

1. წლის განმავლობაში, ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.
• იუსტიციის სამინისტროს მიწის ბაზრის განვითარების (WB) პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლი ბიუჯეტის საწყისი კანონით 5 მლნ ლარით განისაზღვრა. რვა თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა 8 მლნ ლარი შეადგინა. თანხის გადანაწილება განხორციელდა ამავე პროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან. • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვეპროგრამაში „წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა“ ბიუჯეტის საწყისი კანონით დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 25 მლნ ლარს. წლის განმავლობაში ამ ქვეპროგრამის ასიგნება გაიზარდა 3 მლნ ლარით. აღნიშნულ ქვეპროგრამაში 2021 წელსაც ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.
2. ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.
• შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეპროგრამიდან „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი“ წლის განმავლობაში 19 მლნ ლარი გადანაწილდა სამინისტროს სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე. აღნიშნული ქვეპროგრამიდან ხშირია თანხების გადანაწილების შემთხვევები, რაც ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვაზე მიუთითებს. • განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ დაფინანსება საწყისი ბიუჯეტის კანონით 59.2 მლნ ლარით განისაზღვრა. რვა თვის მდგომარეობით, აღნიშნული ქვეპროგრამიდან 4.2 მლნ ლარი გადანაწილდა სხვა ქვეპროგრამებზე და წლის ბოლომდე მოსალოდნელია ასიგნების უფრო შემცირება. კერძოდ, აღნიშნული ქვეპროგრამის 2021 წლის დამტკიცებული გეგმა 57.9 მლნ ლარს შეადგენდა, რომელიც წლის ბოლოს 82.1 მლნ ლარამდე გაიზარდა. დამატებითი დაფინანსების ძირითადი ნაწილი მოხმარდა 2022 წელს შესასყიდი კომპიუტერების თანხის ავანსის გადახდას (20 მლნ ლარი ავანსის სახით გადაირიცხა დეკემბერში). შესაბამისად, 2022 წლის ბიუჯეტში აღნიშნული ქვეპროგრამისთვის ადგილი ქონდა ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას.

დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები

ბიუჯეტის კანონით (ცვლილება) დამტკიცებულ წლიურ გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2022 წ. (ათასი ლარი. %)²⁰

პროგრამის დასახელება	ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული წლიური გეგმა (I)	9 თვის დაზუსტებული გეგმა (II)	8 თვის ფაქტი (III)	(III)/(II) %	(III)/(I) %
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო					
ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ლონისძიებები (24 04)	1,180	913	522	57.20%	44.30%
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (24 05)	22,857	14,887	8,500	57.10%	37.20%
მთის კურორტების განვითარება (24 06 04)	270,000	186,794	118,494	63.40%	43.90%
აქტივების გამოსყიდვა (კერძო საკუთრებაში არსებული აქტივების გამოსყიდვა - კომპენსაცია) (24 06 06)	40,000	29,354	309	1.10%	0.80%
მეწარმეობის განვითარება (24 07)	273,486	209,006	117,269	56.10%	42.90%
საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08)	52,680	36,874	12,423	33.70%	23.60%
ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	12,000	8,250	2,369	28.70%	19.70%
საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (WB) (24 12)	11,620	9,600	3,379	35.20%	29.10%
ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF) (24 13)	5,500	4,400	858	19.50%	15.60%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო					
სივრცითი დაგეგმარება და ურბანული განვითარება (25 03 11)	5,000	2,710	1,350	49.80%	27.00%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო					
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	1,389	993	638	64.30%	46.00%
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04)	31,000	20,011	10,454	52.20%	33.70%

²⁰ ფაქტობრივი დანახარჯები არ მოიცავს მიზნობრივი გრანტების კომპონენტში გაწეულ დანახარჯებს.

შრომის პირობების ინსპექტირება (27 05 02)	6,325	4,904	3,240	66.10%	51.20%
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	1,100	795	225	28.30%	20.50%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო					
საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)	7,300	7,200	4,886	67.90%	66.90%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო					
სოციალური უზრუნველყოფა (29 03 02)	28,000	15,540	7,823	50.30%	27.90%
მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (29 04)	6,913	5,275	3,623	68.70%	52.40%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო					
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა (31 01 05)	2,500	2,310	1,193	51.60%	47.70%
ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (31 03 03)	12,000	7,228	4,714	65.20%	39.30%
აგროდაზღვევა (31 05 03)	12,000	7,120	3,380	47.50%	28.20%
აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (31 05 11)	21,700	16,510	3,164	19.20%	14.60%
ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (31 06 03)	30,000	25,600	9,615	37.60%	32.10%
ეკოტურიზმის განვითარება და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია (31 08 03)	13,500	6,938	2,376	34.30%	17.60%
დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF) (31 08 04)	2,650	1,817	835	45.90%	31.50%
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო					
პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" (32 02 11)	59,150	40,862	26,775	65.50%	45.30%
პროფესიული უნარების განვითარება (32 03 02)	9,251	4,419	1,971	44.60%	21.30%
საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 04)	7,038	3,515	2,433	69.20%	34.60%
პროფესიული განათლება I (KfW) (32 09)	4,213	1,726	872	50.50%	20.70%
თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 10)	4,150	3,232	1,204	37.20%	29.00%

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო					
კულტურის ხელშეწყობა (33 05 02)	20,790	13,537	7,532	55.60%	36.20%
ახალგაზრდობის ხელშეწყობა (33 09)	5,460	4,599	2,500	54.40%	45.80%

1. გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით.

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამაში „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტი - საკრედიტო საგარანტიო სქემა (WB)“ 2022 წლის ბიუჯეტის საწყისი კანონით დამტკიცებული გეგმა 20 მლნ ლარს შეადგენდა. 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია 6 მლნ ლარი. სამინისტროს ინფორმაციით, აუთვისებლობა გამოწვეულია მსოფლიო ბანკის მიერ გარემოსდაცვითი და შრომის უსაფუთხოვების კუთხით დადგენილი მაღალი სტანდარტებით, რომელთა დანერგვაც მოითხოვს გარკვეულ დროსა და ხარჯებს. აღნიშნული რეგულაციების შესრულებისთვის საჭირო ვადების სათანადოდ შეფასება დაგეგმვის ეტაპზე უნდა განხორციელდებოდა.
- ჯანდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამების „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა“ და „თავდაცვის ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება“ გეგმები 2022 წლის ბიუჯეტის საწყისი კანონით განისაზღვრა, შესაბამისად, 1.4 მლნ და 1 მლნ ლარის ოდენობით. რვა თვის მდგომარეობით აღნიშნულ ქვეპროგრამებში ათვისებულია, შესაბამისად, 0.6 მლნ და 0.2 მლნ ლარი. საყურადღებოა, რომ მოცემული ქვეპროგრამები დაბალი ათვისებით ხასიათდებოდნენ 2020-2021 წლებშიც.

დანართი 3. კაპიტალური პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები

ბიუჯეტის კანონით (ცვლილება) დამტკიცებულ წლიურ და საბოლოო კვარტალური განწერით განსაზღვრულ ცხრა თვის გეგმასთან მიმართებით 2022 წლის რვა თვის მდგომარეობით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი კაპიტალური პროექტის მაჩვენებლები - 2022 წ. (ათასი ლარი. %)

დასახელება	2022 წლის დამტკიცებული გეგმა (საწყისი) (I)	2022 წლის დამტკიცებული გეგმა (საბოლოო) (II)	9 თვის გეგმა კვ. განწერით (III)	8 თვის ფაქტი (IV)	IV / II (%)	IV / III (%)
220 კვ ხაზის "ახალციხე-ბათუმი" მშენებლობა (WB) (24 14 01 01)	5,100	5,100	5,100	1,748	34.3%	34.3%
500 კვ ეგზ-ის "ქსანი-სტეფანწმინდა" მშენებლობა (EBRD, EU, KfW) (24 14 02 01)	5,300	5,300	3,800	1,119	21.1%	29.4%
გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 03 04)	8,000	8,000	3,000	1,070	13.4%	35.7%

ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08)	80,000	80,000	37,000	17,155	21.4%	46.4%
ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (25 02 02 09)	10,000	10,000	6,500	1,709	17.1%	26.3%
შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (WB) (25 02 02 11)	40,000	40,000	27,500	7,033	17.6%	25.6%
ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 12)	40,000	40,000	28,000	8,735	21.8%	31.2%
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB) (25 02 02 13)	10,000	10,000	6,800	2,007	20.1%	29.5%
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი) (EIB, WB) (25 02 03 01)	80,000	80,000	47,500	30,254	37.8%	63.7%
სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU) (25 02 03 03)	80,000	80,000	54,000	31,324	39.2%	58.0%
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის მონაკვეთის მშენებლობა (ADB) (25 02 03 10)	15,000	15,000	10,000	1,571	10.5%	15.7%
მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა (ADB) (25 02 03 11)	10,000	10,000	6,100	545	5.4%	8.9%
თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB) (25 02 03 12)	4,000	4,000	3,000	242	6.1%	8.1%
ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB) (25 02 03 13)	4,000	4,000	3,000	669	16.7%	22.3%
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 14)	100,000	100,000	65,000	18,293	18.3%	28.1%
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის წიწამური-	2,000	2,000	1,500	-	0.0%	0.0%

ქინვალის მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 16)						
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (25 03 01)	70,000	150,000	130,400	32,593	21.7%	25.0%
რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (25 03 03)	80,000	80,000	68,370	17,759	22.2%	26.0%
რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) (25 03 04)	60,000	60,000	42,080	27,123	45.2%	64.5%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (I ფაზა) (ADB) (25 03 07 01)	98,000	58,000	66,940	25,890	44.6%	38.7%
იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW) (25 04 03)	15,000	6,050	5,131	3,776	62.4%	73.6%
ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმჯობესება (AFD, EU) (25 04 04)	25,000	-	-	-	-	-
ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF) (25 04 05)	6,000	-	-	-	-	-
მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) (KfW) (25 05 04)	20,000	12,150	9,650	5,135	42.3%	53.2%
ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD) (25 07 03)	5,000	5,000	3,710	1,607	32.1%	43.3%
სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (31 06 01)	38,000	38,000	22,000	12,000	31.6%	54.5%
პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (26 02 03)	40,000	40,000	34,000	21,150	52.9%	62.2%
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)	31,000	31,000	19,250	10,200	32.9%	53.0%
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07)	120,050	120,050	102,319	54,796	45.6%	53.6%